უწმინდესი პატრიარქის კირილეს მიმართვა კიევ-პეჩერის ლავრის ირგვლივ შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 03.16.2023. 16 მარტს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქი კირილე მიმართვით გამოვიდა კიევ-პეჩერის ლავრის ირგვლივ შექმნილ ვითარებასთან დაკავშრებით, – **იუწყება** პატრიარქის პრეს-სამსახური.

მისმა უწმინდესობამ ბრძანა:

კიევ-პეჩერის ლავრა – ეს არის კიევის რუსის პირველი მონასტერი, რომელიც XI საუკუნიდან არსებობს. ეს მონასტერი რუსი, უკრაინელი და ბელარუსი ხალხების საერთო სულიერი სამონასტრო ტრადიციის წინაპარია. ეს არის ჩვენი ცივილიზაციისა და ეროვნული კულტურის აკვანი. აქ დაიწერა ძველი რუსის პირველი ისტორიული ძეგლი – „გასული წლების ზღაპარი“. აქედან იღებს სათავეს ჩვენი ხალხების მწერლობა და ლიტერატურა. თავისი ათასწლიანი ისტორიის მანძილზე სავანემ არაერთხელ განიცადა

დარბევები, უცხოური დაპყრობები და ქრისტიანების აშკარა დევნები. მაგრამ კიევ-პეჩერის ლავრიდან მონაზვნების განდევნა მხოლოდ მე-20 საუკუნეში ხდებოდა მებრძოლი ათეისტური ძალაუფლების ბატონობის დროს.

ბერების ახალმა თაობებმა აღადგინეს სავანე, კოლოსალური ძალისხმევა გასწიეს და დიდი სახსრები დახარჯეს (ხელისუფლების მხრიდან მინიმალური დახმარების ან საერთოდ ამის არარსებობის პირობებში) მონასტრის სარებილიტაციოდ, ამჟამად წართმეული მიძინებისა და სატრაპეზო ტაძრების აღსადგენად, მაგრამ, რაც მთავარია, სულიერი ტრადიციებისა და სრულფასოვანი სამონასტრო ცხოვრების აღსაშენებლად. ლავრა რჩება ერთ-ერთ უდიდეს მართლმადიდებლურ მონასტრად მსოფლიოში, რომელიც 200-ზე მეტ ბერმონაზონსა და მორჩილს აერთიანებს. მის ტერიტორიაზე განთავსებულია ასევე უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ადმინისტრაციის ცენტრი, ცხოვრობს ასობით მომავალი სასულიერო პირი – კიევის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუდენტები.

სახელმწიფო ხელისუფლების ულტიმატუმი კიევ-პეჩერის ლავრასთან მიმართებით, ამაზრზენ ქმედებად გვესახება, რომელიც უღმერთობის პერიოდში რწმენისთვის დევნას შეედრება. როგორც მაშინ, ხელისუფლება ახლაც ღიად უგულებელყოფს კანონს, რომ აღარაფერი ვთქვათ თანამოქალაქეების უფლებების მინიმალურ პატივისცემაზე. მონასტრის ეკონომიურ საქმიანობაში დარღვევების მოსაძიებლად გარკვეული კომისიის მუშაობა გაუმჭვირვალე იყო. მისი რეპრესიული მიზანია მონაზვნების სრული განდევნა ლავრიდან. ამ მიზანს არ მალავდნენ სახელმწიფო მოხელეები და უკრაინის სხვა რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც საერო ხელისუფლების გავლენის ქვეშ არიან. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ უკრაინის სახელმწიფო ხელმძღვანელობა აცხადებს თავის ერთგულებას დემოკრატიული ნორმებისადმი, განვითარების ევროპული გზისადმი, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვისადმი, მაგრამ სინამდვილეში დღეს ეს უფლებები და თავისუფლებები ყოვლად აღმაშფოთებლად ითელება და ირღვევა.

გთხოვთ, ყველა ღონე გამოიჩინოთ, რათა თავიდან ავიცილოთ მონასტრის იძულებითი დახურვა, რაც გამოიწვევს მილიონობით უკრაინელი მორწმუნის რელიგიური უფლებების დარღვევას, რომელიც გარანტირებულია უკრაინის კონსტიტუციით, ასევე ისეთი დოკუმენტებით, როგორებიცაა გაეროს წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ყველა ფორმის შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაცია და სხვა მრავალი საერთაშორისო მნიშვნელობის აქტი. დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემი სიტყვები შესმენილი იქნება.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90125/